შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

[illegible] საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსავლის ნომერი 18 01 24
შემოსავლის დრო შუადღის 3 საათი
შემოსავლის № 4 27366
ფურცლების რაოდენობა 243 03ეიბ

საქმე №3/6912-20	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მანუჩარ ცაცუა მოსამართლის სახელი და გვარი

03ეიბ
01/ეიბ

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	211343982	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

info@georoad.ge

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

1. ლიკა ჩქოფოია	1. 61001003322	1. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
2. ირაკლი კამლაძე	2. 01025017218	2. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ირაკლი კამლაძე	555 53 44 12	irakli.kamladze@georoad.ge
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობათ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მოსარჩელის მიერ პირველ ფაქტობრივ გარემოებაში მითითებული ინფორმაცია არის სკოპინგის დასკვნის შინაარსი და აღნიშნული ჩამონათვალი წარმოადგენს კოპირებულ ტექსტს სკოპინგის დასკვნიდან, რომელიც ადგენს იმ სავალდებულო დანაწესებს, რასაც უნდა მოიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიში.

ნიშანდობლივია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი (შემდგომში - პროექტი), გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) პირველი დანართის მე-11 პუნქტის მიხედვით ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას/პროცედურას. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ სკოპინგის ანგარიში მომზადებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, სადაც მითითებულია სკოპინგის დასკვნის წარდგენის ეტაპები, ასევე რას უნდა მოიცავდეს სკოპინგის დასკვნა.

მტკიცებულება:

ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მოსარჩელე მიუთითებს, რომ „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანება (შემდგომში - №2-208 ბრძანება) გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

მოსარჩელის მოსაზრება არის სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან დეპარტამენტის მიერ მომზადებული სკოპინგის ანგარიში მომზადებულია კოდექსის მე-8 მუხლში მითითებული ნორმების დაცვით, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ №2-208 ბრძანება გამოცემულია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს არ აქვს მითითებული არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის (მითუმეტეს სარჩელში მითითებული უხეში დარღვევის) ფაქტს №2-208 ბრძანების გამოცემის დროს. ასევე, მოსარჩელეს არ აქვს მითითებული რომელი ნორმა არ აქვს გათვალისწინებული სამინისტროს აღნიშნული აქტის გამოცემისას.

მტკიცებულება:

ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

დეპარტამენტის მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კოდექსის ყველა პირობის დაცვით სამინისტროში წარდგენილ იქნა გზშ-ს ანგარიში. გზშ-ს ანგარიშის წარდგენის შემდგომ ეტაპობრივად ხდებოდა ინფორმაციის დაზუსტება სამინისტროში გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით.

ამასთან ნიშანდოვლივია, რომ კოდექსით არ არის დადგენილი მინიმალური ვადები თუ რამდენ დღეში უნდა იქნას წარდგენილი ანდა მომზადებული სკოპინგის დასკვნის შემდგომ გზშ-ს ანგარიში.

მტკიცებულება:

ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

მოსარჩელე არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, დეპარტამენტის მიერ სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ 2020 წლის 3 აპრილის განცხადებას, რომ დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდებოდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამდე, სკოპინგის ეტაპზე საჯარო განხილვა ჩატარდა კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, მაგრამ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე, დაინფიცირების რისკის თავიდან აცილების მიზნით, სჯარო განხილვის პროცედურა შეიცვალა არსებული პროექტის პრეზენტაციის საიტზე გამოქვეყნებით, სადაც ასევე იოლად იყო შესაძლებელი როგორც პროექტის გარშემო არსებული პრეზენტაციის ნახვა, ისე გზშ-ს ეტაპზე არსებული სრული დოკუმენტის ხილვა და სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ, იყო მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის/გაგზავნის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი როგორც წერილობით (სამინისტროს მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6), ისე ოფიციალურ ელ. ფოსტის მისამართზე (eia@mepa.gov.ge).

მტკიცებულება:

ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის განმარტება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან კოდექსში არ არის მოთხოვნა იმ გარემოების აუცილებლად აღნიშვნის თაობაზე, რომ წინა განცხადებასთან შედარებით, რომელი უზუსტობის ანდა შეცდომის აღმოფხვრა მოხდა ახალ დოკუმენტში. შესაბამისად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას მარტივად შეეძლო ენახა სხვაობა ორ დოკუმენტს შორის, კერძოდ:

• გზშ-ის თავი 4 - პროექტის დასაბუთება (დაიხვეწა გზის მნიშვნელობის დასაბუთების ნაწილი);

• გზშ-ის თავი 6 - ალტერნატივების აღწერა (დაიხვეწა ალტერნატივების შედარება).

მტკიცებულება:

ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მოსარჩელე მიუთითებს, რომ განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებს და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ პირობებს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, ვინაიდან მოსარჩელე არ მიუთითებს კონკრეტულად კოდექსის რომელ მოთხოვნას ან/და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ რომელ პირობას არ აკმაყოფილებდა დეპარტამენტის მიერ წარდგენილი დოკმენტაცია. მოსარჩელის განმარტება არის ზეპირსიტყვიერი, სუბიექტური და ყოველგვარი ნორმის მითითების გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ დეპარტამენტის მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით სამინისტროში წარდგენილი გზშ-ს ანგარიში სრულად აკმაყოფილებდა კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებსა და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ პირობებს.

აღსანიშნავია რომ დეპარტამეტში შემოვიდა სამინისტროს 2020 წლის 19 ივნისის №5624/01 წერილი. წერილით გადმოგზავნილ იქნა მოსარჩელის კომენტარები და შენიშვნები, რომელზეც დეპარტამენტის 2020 წლის 23 ივლისის №2-12/7790 წერილით ამომწურავი და დეტალური პასუხი იქნა გაცემული, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ კომენტარებსა და შენიშვნებზე.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე მითითებულია შესაგებლის მე-4 ფაქტობრივ გარემოებაში.

მტკიცებულება:
ა.საქმეში არსებული დოკუმენტაცია

მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები
მოსარჩელის განმარტებით სამინისტროს მიერ დეპარტამეტში გადაგზავნილ ერთერთ წერილში არ არის მითითებული მოსარჩელის შენიშვნების გაგზავნის მიზეზი/დანიშნულება.
ნიშანდობლივია, რომ დეპარტამენტში შემოვიდა სამინისტროს 2020 წლის 17 ივნისის №5494/01 და 2020 წლის 19 ივნისის №5624/01 წერილები. რომლითაც გადმოგზავნილ იქნა მოსარჩელის კომენტარები და შენიშვნები.
აღსანიშნავია, რომ დეპარატმენტმა დოკუმენტაცია წარადგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის მოთხოვნის და კოდექსის შესაბამისად და დეპარტამენტის მიერ სამინისტროს შენიშვნებზე გაცემულ იქნა ამომწურავი და დეტალური პასუხი დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №2-12/7538 და 2020 წლის 23 ივლისის №2-12/7790 წერილებით.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია

მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმებით
მოსარჩელის მოსაზრება, რომ დეპარტამენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტი (გზშ) ვერ იძლევა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ზურმუხტის ქსელის საიტი ბორჯომ-ხარაგაული (GE0000010) ჰაბიტატებზე ზემოქმედების სრულ სურათს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.
აღსანიშნავია, რომ ზურმუხტის ქსელის საიტის ნომინირება ხდება შესაბამისი პროცედურების გავლით, რაც გულისხმოს საიტის შესწავლას და მის საზღვრებში დასაცავი სახეობებისა თუ ჰაბიტატების იდენტიფიცირებას - შესაბამისი დასაბუთებით. ყოველ საიტს გააჩნია ინდივიდუალური სტანდარტული ფორმა, სადაც მოცემულია ამ კონკრეტული საიტის საკვალიფიკაციო მახასიათებლები. შესაბამისობის შეფასება გულისხმობს ზურმუხტის ქსელის საიტის სწორედ ამ საკვალიფიკაციო მახასიათებლებზე (ჰაბიტატები, სახეობები) პროექტის ზემოქმედების შეფასებას.
აღნიშნული, ზურმუხტის ქსელის საიტის [ბორჯომ-ხარაგაული (GE0000010)] სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულია 11 ჰაბიტატი (D4.1; E1.2; E3.4; E3.5; F7; F9.1; G1.12; Gl.6; G3.17; G3.4E; H1). რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული საიტი ნომინირებულ იქნა ამ საიტისთვის ჩამოთვლილი ჰაბიტატების მნიშვნელოვნების და კონსერვაციის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისობის ანგარიშში შეფასდა დაგეგმილი პროექტის გავლენა მხოლოდ აღნიშნულ ჰაბიტატებზე.
ბ) ჩატარებული კვლევების შესაბამისად, მშენებლობის ზონაში დაფიქსირდა ბერნის კონვენციით დაცული ორი ჰაბიტატები, რომელიც საიტის სტანდარტულ ფორმაში მოცემულ ჩამონათვალში არ შედის და ამგვარად, ზემოაღნიშნულ შესაბამისობის შეფასების დოკუმენტში არ შესულა. ესენია:

- G1.21 მდინარისპირა Alnus -ის ტყე;

- G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები.

ნიშანდობლივია, რომ ზემოთ მითითებულ ჰაბიტატებზე (G1.21 და G3.1H) ზემოქმედების შეფასება მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.
ასევე აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკითხზე დეპარტამენტში შემოსულ სამინისტროს 2020 წლის 26 ივნისის №5888/01 წერილში მითითებულ შენიშვნებზე, დეპარტამენტის მიერ ამომწურავი და დეტალური პასუხი იქნა გაცემული დეპარტამენტის 2020 წლის 23 ივლისის №2-12/7790 წერილით.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-9 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმებით
დეპარტამენტმა, სამინისტროს 2020 წლის 17 ივნისის №5494/01 წერილის საპასუხოდ, დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისს 2-12/7538 წერილით, სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით დანართის სახით წარადგინა ამომწურავი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-10 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:

მე-11 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმებით
დეპარტამენტმა, სამინისტროს 2020 წლის 19 ივნისის №5624/01 წერილის საპასუხოდ, 2020 წლის 23 ივლისს №2-12/7790 წერილით, სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, დანართის სახით წარადგინა ამომწურავი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-12 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმებით
მე-12 ფაქტობრივი გარემოება წარმოადგენს კოპირებულ ტექსტს „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 3 სექტემბრის №2-785 ბრძანებიდან (შემდგომში - №2-785 ბრძანება), რის მიხედვითაც დეპარტამენტს დაევალა/განესაზღვრა, რიგი პირობების შესრულება მშენებლობის დაწყებამდე, უშუალოდ მშენებლობის პროცესსა და ექსპლოატაციის პერიოდში.
აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტმა პირნათლად შეასრულა ან/და დაიწყო პირობების აღსრულების/შესრულების პროცედურები მშენებლობის დაწყებამდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, კერძოდ:

- №2-785 ბრძანების მე-9 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ეხება 1 თვის ვადაში განახლებული მონიტორინგის გეგმის წარმოდგენას, დეპარტამენტმა ხსენებულ ვადაში, სამინისტროში წარადგინა კონტრაქტორის მიერ მომზადებული დოკუმენტი/გეგმა, რომელზეც სამინისტრომ წარმოადგინა შენიშვნები, რის გამოსწორების თაობაზეც ეცნობა მშენებელ კონტრაქტორს.

- №2-785 ბრძანების მე-11 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ, საკომპენსაციო ფართობის კვლევის დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირების მიზნით, სამინისტროში გაიგზავნა 2020 წლის 11 ივნისის №2-12/12630 წერილი, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია ზურმუხტის ქსელის ფართობის ადეკვატური ტერიტორიის მოძიების შესახებ.
- №2-785 ბრძანების მე-17 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტმა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ფართობების ამორიცხვა და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია განახორციელა კანონმდებლობით დადგენილი წესით. დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული საკითხის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება. აღნიშნული დასტურდება სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 21 დეკემბრის №5/69254 წერილით, სადაც მითითებულია, რომ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესამაბისად, განხორციელდეს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის სამშენებლო პროექტის ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №61.11.23.299, №61.11.23.298, №61.23.21.788, №61.23.21.800) მერქნული რესურსის (მოჭრა) გარემოდან ამოღება.
- №2-785 ბრძანების მე-18 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტმა 2020 წლის 8 სექტემბერს №17/2961 წერილით სსიპ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ მიიღო შესაბამისი მითითება „უშუალოდ იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში უნდა იქნას წარმოდგენილი არეალში მოხვედრილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გეგმა, რომლის შეთანხმების შემდეგ შესაძლებელი იქნება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით." დეპარტამენტს დაწყებული აქვს მართვის გეგმის მომზადების სამუშაოები შემდგომში სამინისტროში გაგზავნისა და შეთანხმების მიზნით, რაზედაც 2020 წლის 18 ნოემბრის №2-12/13073 წერილით აცნობა კონტრაქტორ კომპანიას დოკუმენტის მომზადების თაობაზე.
- №2-785 ბრძანების მე-20 პუნქტის შესაბამისად, სსიპ დაცული ტერიტორიების მართვას დაქვემდებარებული ფართობების ტყითსარგებლობისთვის დაზუსტებული ტყეკაფის მასალების წარდგენისა და საკომპენსაციო თანხის გადახდის თაობაზე ეცნობა სამინისტროს.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.
ბ. სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 21 დეკემბრის №5/69254 წერილი (დანართი 1)

მე-12.1 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმებით
სარჩელში ერთხელ უკვე ვხდებით ფაქტობრივ გარემოება 12-ს რაც ტექნიკური ხასიათის შეცდომას წარმოადგენს და შემდგომში გაურკვევლობის აცილებისთვის მინიჭებულ იქნა 12.1 ნომერი.
მოსარჩელე მიუთითებს, რომ №2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია 2 წერილი, რომლებიც ამტკიცებს განსახილველი დოკუმენტების ,განხილვის პროცესისა და თავად პროექტის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამოგას. აღნიშნული მოსაზრება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი შემდეგ გარემოებათა გამო:
- პირველ საკითხთან მიმართებაში დეპარტამენტის მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია, რის საფუძველზე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ გამოსცა ბრძანება, მათ მართვას დაქვემდებარებული

ტერიტორიების სამი წლით ტყითსარგებლობის თაობაზე, რის საფუძველზე დეპარტამენტმა გადაიხადა საკომპენსაციო საფასური 2 432 505.68 (ორი მილიონ ოთხას ოცდათორმეტი ათას ხუთას ხუთი ლარი და 68 თეთრი) ლარი და შემდგომ წერილობით აცნობა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

- რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანა ეწინააღმდეგება ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონს, აღსანიშნავია, რომ კანონი არ კრძალავს კონკრეტულ საქმიანობას. აღნიშნული კანონით აკრძალულია დაცულ ტერიტორიაზე აფეთქებით სამუშაოების წარმოება შესაბამისად, სამინისტრომ, დეპარტამენტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-19 პირობით განუსაზღვრა, რომ დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნას „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და რომ არ დაუშვას საავტომობილო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისას ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელიც ეწინააღმდეგება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონს.

ასევე აღსანიშნავია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის" 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 273 მუხლის შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკითხის თაობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასაფეთქებელი ნივთიერების მოხმარების თაობაზე დეპარტამენტის მიერ პოზიცია ეცნობა 2020 წლის 20 ივლისის №2-12/7538 წერილით, კერძოდ: „ასაფეთქებელი ნივთიერება საჭიროა გვირაბის გაყვანის და ზოგიერთ უბანზე სამშენებლო სამუშაოებისთვის. სამუშაოს დაწყებამდე ამფეთქებელი ვალდებულია მოამზადოს და შეათანხმოს ე.წ. აფეთქებითი სამუშაოების პროექტი/პასპორტი, სადაც ყველა ტექნიკური და სამუშაოს წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი. ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობის განთავსება და დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი მასალის ტერიტორიაზე შეტანა დაგეგმილი არ არის. სკოპინგის ანგარიშში მითითებული მასალა ერთერთი 'სტანდარტული' ასაფეთქებელ მასალათაგანია, რომელიც გამოიყენება ანალოგიური სამუშაოების წარმოებისას. ამ ან სხვა მასალის შერჩევისას/გამოყენებისას მშენებელი ვალდებული იქნება ზედმიწევნით დაიცვას მწარმოებლის სპეციფიკაციაში დაფიქსირებული პირობები (კონკრეტული მასალის გამოყენებისას უსაფრთხოების მოთხოვნები). სამუშაოების წარმოებისას კონტრაქტორი განსაზღვრავს ამა თუ იმ უბანზე აფეთქებითი სამუშაოების წარმოების საჭიროების მიზანშეწონილობას. ყოველ კონკრეტულ უბანზე სამუშაო იწარმოებს მეთოდით, რომელიც ეფექტური და გარემოსადმი ნაკლები ზიანის მომტანი იქნება.

აფეთქებითი სამუშაოები, სადაც ამის საჭიროება იარსებებს, ჩატარდება მცირე მუხტის და დაყოვნების დროის შერჩევით.

შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტიპის აფეთქებითი სამუშაოები ნაკლები ზიანის/შეშფოთების მომტანია ვიდრე მაგალითად „კოდალა“.
გზშ-ს ანგარიშის, ტომი 1-ის 182-ე გვერდზე დაფიქსირებულია მექანიკური შეცდომა და ფოცხვერის ნაცვლად არჩვი წერია. აღნიშნულ ჩანაწერში ვაშლოვანის დაცული ტერიტორია სწორად არის მითითებული და იქ ფოცხვერი ნამდვილად არის დაფიქსირებული. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებში მის (ამ შემთხვევაში ფოცხვერის) სიმჭიდროვეს ნაგულისხმევია შემდეგი: შვეიცარია სიმჭიდროვე 0.94-2.1 ინდივიდი 100 კმ2 ზე; შვედეთი - 1 ინდივიდი 100 კმ2 ზე, წყარო: (Breitenmozer U., Breitenmoser-Würsten Ch., Arx M., Zimmermann F., Ryser A., Angst Ch., Molinari-Jobin A., Molinari P., Linnell J., Siegenthaler A., Weber J. M. 2006 Guidelines for the Monitoring of Lynx – prepared for the Workshop on the Conservation and Monitoring of the Balkan lynx;) წყარო ციტირებულია ასევე „ნაკრესი“-ს მასალებში.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-13 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
დეპარტამენტი, სრულად №2-785 ბრძანების 21-ე პუნქტში მითითებულ პირობას და იმოქმედებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით იმგვარად, რომ აბასთუმნის მინერალური (თერმული) წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის მესამე (სამეთვალყურეო) ზონაში, არ დაუშვებს ისეთი სამუშაოს წარმოებას, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის რესურსებსა და საბადოს ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-14 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
№2-785 ბრძანების მე-18 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტმა, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ 2020 წლის 08 სექტემბერს №17/2961 წერილით მიიღო შემდეგი სახის მითითება „უშუალოდ იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში უნდა იქნას წარმოდგენილი არეალში მოხვედრილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გეგმა, რომლის შეთანხმების შემდეგ შესაძლებელი იქნება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით.“
დეპარტამენტს დაწყებული აქვს მართვის გეგმის მომზადების სამუშაოები შემდგომში სამინისტროში გაგზავნისა და შეთანხმების მიზნით, რაზედაც 2020 წლის 18 ნოემბრის №2-12/13073 წერილით აცნობა კონტრაქტორ კომპანიას დოკუმენტის მომზადების თაობაზე.
მტკიცებულება:

მე-15 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2 დასკვნა, კერძოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის (შემდგომში სატყეო - დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ქრისტინე კოროშინაძის 2020 წლის 4 ივნისის დასკვნა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსის ნონა ხელაიას 2020 წლის 3 სექტემბრის დაკვნა და განმარტავს, რომ

პირველ დასკვაში მითიტებულია კონკრეტული არის შენიშვნები, ხოლო მეორე დასკვნაში მითითებულია მხოლოდ ტექნიკური ხარვეზები რომლებიც უნდა გამოსწორდეს. გაურკვეველია მოსარჩელის პათოსი აღნიშნულთან დაკავშირებით, ვინაიდან დეპარტამენტის მიერ, სამინისტროში 2020 წლის 20 ივნისს დამატებით იქნა წარდგენილი ინფორმაცია 4 ტომად, სადაც განმარტებული და უფრო დეტალურად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების კვლევების და ზემოქმედების შეფასების შესახებ.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-16 ფაქტობრივ გარემოებას -ვეთანხმები
დეპარტამენტის ეთანხმება ბიოლოგიის დოქტორის კ. იაშაღაშვილის შეფასებას და საექსპერტო დასკვნაში მითითებულ გარემოებებს, რომ სამუშაოები იყო დიდი მოცულობის, საველე კვლევების და რეგიონის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მომზადებული. ასევე, ანგარიში აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით შეფასებას.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-17 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
საექსპერტო დასკვნის ავტორს შეფასებული აქვს, რომ გეოლოგიურ ნაწილი მთლიანობაში კვალიფიციურად არის შესრულებული და მისაღებია სახელმძღვანელოდ და ასევე აღნიშნავს საკითხს მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელ სავარაუდო რისკებზე, რაზედაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-12 პუნქტით განსაზღვრა, რომ „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ბუნებრივი საფრთხეების შეფასების ქვეთავში განხილული შემარბილებელი ღონისძიებების საფუძველზე, უზრუნველყოს საპროექტო დერეფნის ფარგლებში დაფიქსირებული თითოეული ქვათაცვენის უბნისათვის დამატებითი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის შემუშავება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა“ და დეპარტამენტი როგორც მშენებლობის, ისე ექსპლოატაციის ეტაპზე, შემდგომში სამინისტროსთან შეთანხმების მიზნით აუცილებლად წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას შემდგომი მოსალოდნელი რისკების/საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

მტკიცებულება:
ა. საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მე-17.1 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☐

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☐

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☐

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☐

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელეს მოთხოვნა „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №2-785 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

შესაგებელი ძოთხოვნის საძართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელე მიუთითებს, რომ სამინისტროს მიერ №2-785 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საქართველოს კონსტიტუცია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა) უხეში დარღვევით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებული აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მე-60 პრიმა მუხლი.

კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილს შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოსარჩელეს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებში ციტირებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის გარკვეული მუხლები და მიუთითებს, რომ სამინისტრომ აღნიშნული აქტის გამოცემისას დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა, მაგრამ მაგრამ ვერ ასაბუთებს თუ რატომ არის აღნიშნული ნორმა დარღვეული სამინისტროს მიერ №2-785 ბრძანების გამოცემისას. სასარჩელო მოთხოვნა ემყარება მხოლოდ მოსარჩელის ზეპირსიტყვიერ, სუბიექტურ მოსაზრებას და არ არის გამყარებული რაიმე ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებით.

საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ სამინისტრომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ კოდექსის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპარტამენტმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარადგინა აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის განცხადება და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაცია, სამინისტროს მიერ, ასევე განთავსდა დაბა აბასთუმანში სხვადასხვა ხალხმრავალი თავშეყრის ლოკაციებზე, რაც შესაძლებლობას აძლევდა დაინტერესებულ საზოგადოებას სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოედგინა სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები. გასათვალისწინებელია, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამდე, სკოპინგის ეტაპზე საჯარო განხილვა ჩატარდა კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების მოთხოვნების სრულ შესაბამისობაში. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი რაც ასახულ იქნა №2-208 ბრძანებაში.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებს და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ პირობებს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, ვინაიდან მოსარჩელე არ მიუთითებს კონკრეტულად კოდექსის რომელ მოთხოვნას ან/და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ რომელ პირობას არ აკმაყოფილებდა დეპარტამენტის მიერ წარდგენილი დოკმენტაცია.

დეპარტამენტმა 2020 წლის 25 მარტს სამინისტროში წარადგინა, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც მიმდინარე წლის 27 მარტს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შენიშვნების წარმოსადგენად საზოგადოებას განუსაზღვრა კანონით დადგენილი ვადა. ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე განთავსდა ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე განხორციელების შესახებ. დეპარტამენტმა გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში ტექნიკური ხარვეზის შესწორების მიზნით წარადგინა მისი კორექტირებული ვერსია, რომელიც ასევე განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე 2020 წლის 13 აპრილს და სამინისტრომ დაინტერესებული საზოგადოებას გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის მიზნით კვლავ განუსაზღვრა გონივრული ვადა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით. გასათვალისწინებელია, რომ სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა რამდენიმე ტომს (გზშ-ის ანგარიში ტომი 1, გზშ-ის ანგარიში ტომი 2; გზშ-ის ანგარიში დანართი 1, გზშ-ის ანგარიში დანართი 2, გზშ-ის ანგარიში დანართი 3 და ა.შ.),რომლებიც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით, სადაც მარტივად იყო შესაძლებელი როგორც პროექტის გარშემო არსებული პრეზენტაციის ნახვა, ისე გზშ-ს ეტაპზე არსებული სრული დოკუმენტის ხილვა და სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ, იყო მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის/გაგზავნის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი როგორც წერილობით (სამინისტროს მისამართზე: ქ.

თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6), ისე ოფიციალურ ელ. ფოსტის მისამართზე (eia@mepa.gov.ge).
აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მითითება, რომ განცხადება სრულად არ გამოქვეყნდა არ შეესაბამება სიმართლეს, რაც დასტურდება იმით, რომ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულია არაერთი ინფორმაცია. სარჩელში აღნიშნულია, რომ ახალ განცხადებას თან ერთოდა მხოლოდ განსახილველი დოკუმენტების ნაწილი და დანარჩენი დოკუმენტები დაინტერესებულ პირს თავად უნდა მოეძიებინა ადრე გამოქვეყნებული განცხადების თანდართული ბმულიდან. აღსანიშნავია, რომ კოდექსში არ არის მოთხოვნა იმის აუცილებლად აღნიშვნის თაობაზე, რომ წინა განცხადებასთან შედარებით, რომელი უზუსტობის ანდა შეცდომის აღმოფხვრა მოხდა ახალ დოკუმენტში. შესაბამისად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას მარტივად შეეძლო ენახა სხვაობა ორ დოკუმენტს შორის. ამათან მოსარჩელე, სარჩელში უთითებს მის მიერვე გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგო ინფორმაციას, სადაც აღნიშნავს, რომ სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ბმულების მეშვეობით გადაყავხარ ყველა წინა თუ მომდევნო განცხადებასთან და დოკუმენტთან, რაც აღნიშნულ პროექტს უკავშირდება. შესაბამისად, ყველა გამოქვეყნებული განცხადება ერთმანეთთან კავშირშია ელექტრონული ბმულების საშუალებით და მარტივად ხელმისაწვდომს ხდის.
მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 10 აპრილს წარმოდგენილი განცხადება ეხებოდა მხოლოდ გზშ-ის ანგარიში ტომი 1-ს და ითვალისწინებდა ტექნიკური ხარვეზების გასწორებას, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების თავიდან განსაზღვრა. შესაბამისად, საზოგადოებისათვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე განთავსებული დოკუმენტაციის განხილვის და შენიშვნების წარმოდგენის ვადად კვლავ განისაზღვრა 40 დღე. სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
მოსარჩელის განმარტებით სამინისტროს მიერ დეპარტამეტში გადაგზავნილ ერთერთ წერილში არ არის მითითებული მოსარჩელის შენიშვნების გაგზავნის მიზეზი/დანიშნულება.
ნიშანდობლივია, რომ დეპარტამენტში შემოვიდა სამინისტროს 2020 წლის 17 ივნისის №5494/01 და 2020 წლის 19 ივნისის №5624/01 წერილები. სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, დეპარტამენტს წერილობით მოსთხოვა ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტება და მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. ასევე, სამინისტრომ დეპარტამენტში დამატებით გადმოაგზავნა პროექტთან დაკავშირებით ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის" შენიშვნები, რომელიც განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
აღსანიშნავია, რომ დეპარატმენტმა დოკუმენტაცია წარადგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის მოთხოვნის და კოდექსის შესაბამისად და დეპარტამენტის მიერ სამინისტროს შენიშვნებზე გაცემულ იქნა ამომწურავი და დეტალური პასუხი დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №2-12/7538 და 2020 წლის 23 ივლისის №2-12/7790 წერილებით.
დეპარტამენტმა 2020 წლის 20 ივლისის №2-12/7538 წერილით სამინისტროს დამატებით წარუდგინა ინფორმაცია, რომელში გათვალისწინებული იყო სამინისტროს შენიშვნები, ასევე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ზურმუხტის ქსელის საიტისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია. ხოლო 2020 წლის 23 ივლისის №2-12/7790 წერილით დეპარტამენტმა სამინისტროში წარმოადგინა წერილი აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით ,,მწვანე ალტერნატივას" და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის" შენიშვნებთან

დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ორივე წერილი განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტება, რომ დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან დეპარტამენტის მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით სამინისტროში წარდგენილი გზშ-ს ანგარიში სრულად აკმაყოფილებდა კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებსა და №2-208 ბრძანებით დამტკიცებულ პირობებს. დეპარტამენტის მიერ წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავს განსაზღვრული და ჩატარებული კვლევების შედეგებს, მოპოვებულ და შესწავლილ ინფორმაციას, შესაბამის შემცირების/შერბილების ღონისძიებებს, რასაც ადასტურებს სამინისტროც.
მოსარჩელის განმარტება, რომ დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდებოდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე, არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, რასაც დეპარტამენტი განმარტავს შესაგებლის მე-4 ფაქტობრივ გარემოებაში, კერძოდ: აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ პროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის გავრცელებისთვის განსაზღვრულ ველში, რომელიც თვალსაჩინოა დაინტერესებული საზოგადოებისთვის.
ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის განთავსება უზრუნველყოფილ იქნა როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე.
აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხალხმრავალ ლოკაციებზე. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნულ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნა წერილობით, აგრეთვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამასთან აღნიშნულ პერიოდში, საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირება-ჩართულობის მიზნით წარმოებების შესახებ ინფორმაცია თავსდებოდა სსიპ გარემოსდაცვითი განათლების და ინფორმაციის ცენტრის ვებგვერდზე, მის ფეისბუქზე, ელ.ფოსტით ეგზავნებოდა გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ინფორმაცია ასევე თავსდებოდა შესაბამის მუნიციპალიტეტებში ხალხმრავალ ადგილებში ყველა დაშვებულ ლოკაციაზე.
სამინისტროს ვებგვერდზე დამატებით თავსდებოდა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მოკლე პრეზენტაცია, რომელიც ეგზავნებოდა მუნიციპალიტეტებს ვებგვერდებზე განსათავსებლად და, მოთხოვნის შემთხვევაში, საზოგადოებისთვის მატერიალური ფორმით ხელმისაწვდომად.
მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება რატომ განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე, მაშინ როდესაც შეზღუდვების პირობებშიც კი განცხორციელდა უამრავი ღონისძიება, რათა დაინტერესებულ საზოგადოებას სრულყოფილად მიეღოთ ინფორმაცია აღნიშნული პროექტის გზში-ის შესახებ. რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე ზედაპირულად ყოველგვარი შესწავლის გარეშე აყალიბებს სუბიექტურ აზრს და მიუთითებს, რომ ვინაიდან ეპიდ სიტუაციის გაუარესებიდან გამომდინარე შემოღებული შეზღუდვების გამო რადგან არ მოხდა უშუალოდ დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა, მათთვის ინფორმაციის მიწოდება არ განხორციელებულა.

აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან, მიუხედავად მძიმე ეპიდოლოგიური სითუაციისა, დაინტერესებულ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული უამრავი ღონისძიების შედეგად მოხდა ისეთივე ეფექტურად, როგორც მოხდებოდა საჯარო შეხვედრებისას.

ნიშნანდობლივია, რომ პროექტისთვის მომზადდა ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება (ზზშ), რომელიც თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს, ასევე წარმოდგენილია დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციასთან ერთად. შეფასების პროცესში დადგინდა საპროექტო დერეფნის ფარგლებში ზურმუხტის დამტკიცებულ უბანზე „ბორჯომ-ხარაგაული" იდენტიფიცირებული ჰაბიტატების არსებობა, შეფასდა დერეფანში წარმოდგენილი ჰაბიტატების მოწყვლადობა და არსებული მდგომარეობა. განისაზღვრა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჰაბიტატები საპროექტო არეალში ზურმუხტის ქსელის უბანზე დაცვას დაქვემდებარებული სახეობებისათვის. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დაფუძნებულია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და დამატებითი შესწავლის შედეგებზე.

ზზშ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის საიტის საზღვრებში სტანდარტულ ფორმაში მითითებული ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის რეზოლუცია №4-ით დაცულ ჰაბიტატებზე და რეზოლუცია №6-ით განსაზღვრულ სახეობებზე ზემოქმედება. საპროექტო დერეფანში მოხვედრილი ჰაბიტატების „G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე" და „G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები" ნაწილი ამ ჰაბიტატების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. სამუშაოების წარმოებისას ჰაბიტატების განადგურება არ მოხდება. პროექტი ზემოქმედებას იქონიებს მხოლოდ ამ ჰაბიტატების ნაწილზე, და გამოიწვევს ფრაგმენტაციას. ზემოქმედება თავისი შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი არ იქნება. ასევე არ გამოვლენილა სახეობებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა. ამასთან აღვნიშნავთ, რომ როგორც გზშ-ის ანგარიშში, ისე დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციაში დეტალურად არის განხილული შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა და დამატებით მოცემულია ალტერნატივების შედარების ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედებას დაქვემდებარებული შემდეგი ჰაბიტატები: G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება და G3.1H - აღმოსავლური ნაძვის (Picea orientalis) ტყეები არ არის მოცემული ზურმუხტის ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში, დამატებითი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამინისტრომ პირობების სახით განუსაზღვრა საქმიანობის განმახორციელებელს, შეარჩიოს და სამინისტროში წარმოადგინოს ახალი, ადეკვატური ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ზურმუხტის ქსელში ჩასართავად. ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ტერიტორიის დეტალურ აღწერას, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას ზურმუხტის ქსელში ჩასართავად და შევსებული უნდა იყოს სტანდარტული მონაცემთა ფორმა.

რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას, რომ მითითებულ ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანა ეწინააღმდეგება ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონს, გაცნობებთ, რომ კანონი არ კრძალავს კონკრეტულ საქმიანობას. როგორც შესაბებლის 12.1 პუნქტში არის მითითებული, აღნიშნული კანონით აკრძალულია დაცულ ტერიტორიაზე აფეთქებით სამუშაოების წარმოება შესაბამისად, სამინისტრომ, დეპარტამენტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-19 პირობით განუსაზღვრა, რომ დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნას „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და რომ არ დაუშვას საავტომობილო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისას ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელიც ეწინააღმდეგება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონს.

ასევე აღსანიშნავია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 271-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, „ტყითსარგებლობის წესის“ 273-ე მუხლის შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკითხის თაობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასაფეთქებელი ნივთიერების მოხმარების თაობაზე დეპარტამენტის მიერ პოზიცია ეცნობა 2020 წლის 20 ივლისის №2-12/7538 წერილით, კერძოდ: „ასაფეთქებელი ნივთიერება საჭიროა გვირაბის გაყვანის და ზოგიერთ უბანზე სამშენებლო სამუშაოებისთვის. სამუშაოს დაწყებამდე ამფეთქებელი ვალდებულია მოამზადოს და შეათანხმოს ე.წ. აფეთქებითი სამუშაოების პროექტი/პასპორტი, სადაც ყველა ტექნიკური და სამუშაოს წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი. ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობის განთავსება და დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი მასალის ტერიტორიაზე შეტანა დაგეგმილი არ არის. სკოპინგის ანგარიშში მითითებული მასალა ერთერთი 'სტანდარტული' ასაფეთქებელ მასალათაგანია, რომელიც გამოიყენება ანალოგიური სამუშაოების წარმოებისას. ამ ან სხვა მასალის შერჩევისას/გამოყენებისას მშენებელი ვალდებული იქნება ზედმიწევნით დაიცვას მწარმოებლის სპეციფიკაციაში დაფიქსირებული პირობები (კონკრეტული მასალის გამოყენებისას უსაფრთხოების მოთხოვნები). სამუშაოების წარმოებისას კონტრაქტორი განსაზღვრავს ამა თუ იმ უბანზე აფეთქებითი სამუშაოების წარმოების საჭიროების მიზანშეწონილობას. ყოველ კონკრეტულ უბანზე სამუშაო იწარმოებს მეთოდით, რომელიც ეფექტური და გარემოსადმი ნაკლები ზიანის მომტანი იქნება.

აფეთქებითი სამუშაოები, სადაც ამის საჭიროება იარსებებს, ჩატარდება მცირე მუხტის და დაყოვნების დროის შერჩევით. (ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტიპის აფეთქებითი სამუშაოები ნაკლები ზიანის/შეშფოთების მომტანია ვიდრე მაგალითად „კოდალა“).

მოსარჩელე სარჩელში ასევე უთითებს, რომ ბერნის კონვენციით დაცულ საიტებზე დაუშვებელია საქმიანობის განხორციელება, შესაბამისად სამინისტრომ დააღვია როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო მოთხოვნები. აღნიშნული მსჯელობა ყოველგვარ არგუმენტაციას მოკლებულია, ვინაიდან ბერნის კონვენცია არ კრძალავს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებას, არამედ ადგენს, რომ ამა თუ იმ საქმიანობამ შეუქცევადი ზემოქმედება არ უნდა მოახდინოს აღნიშნულ ტერიტორიაზე და იმ სახეობებზე რომლის დასაცავადაც შეიქმნა მითითებული ტერიტორიები. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო გზის გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში შეფასებული იყო ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, რომელიც განიხილეს და შეაფასეს შესაბამისი დარგის და კვალიფიკაციის ექსპერტებმა/სპეციალისტებმა, ასევე სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილია დამატებითი პირობები ზემოქმედების შემცირების/შერბილებისათვის,

სამინისტრომ იმსჯელა და გასცა გარემოსდაცვით გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს და საერთაშორისო მოთხოვნებს.
მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ დარღვეულია „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, მაგრამ ვერ ასაბუთებს კონკრეტულად რომელი ნორმაა დარღვეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.
აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია საპროექტო დერეფნის გასწვრივ დაფიქსირებული, მათ შორის წითელი ნუსხის სახეობების და რაოდენობის შესახებ მოცემულია გზშ-ის ანგარიშში. დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე და სახეობებზე (მათ შორის წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე) ასევე ვრცელდება ყველა ის შემარბილებელი ღონისძიება, რომელიც დოკუმენტშია ასახული. განსაზღვრულია კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები წითელი ნუსხის სახეობებისთვის. მცენარეთა სახეობებისთვის საფრთხის კატეგორიები განისაზღვრა საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით. შესაბამისად, ყოველგვარი ფაქტებისა და გერემოებების გარეშე, მოსარჩელის მითითება, რომ არ არის გათვალისწინებული წითელი ნუსხის სახეობებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები, არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და მხოლოდ მოსარჩელის სუბიექტური მოსაზრება, ვინაიდან გზშ-ის ანგარიშის თანახმად სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებული იქნება წითელი ნუსხის სახეობებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები.
მოსარცელეს წარდგენილი აქვს საკმაოდ მოცულობითი სარჩელი, სადაც პუნქტობრივად აქვს გადმოტანილი საქართველოში მოქმედი კანონმდებობა და ნორმები, მაგრამ ვერ ასაბუთებს კონკრეტულად რომელი ნორმა არის დარღვეული გზშ-ის მომზადებისა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (№2-785 ბრძანების) გამოცემისას. საქმეში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ცალსახად დგინდება, რომ დეპარტამენტის მიერ სამინისტროში წარდგენილი სკოპინგის დასკვნა, ასევე გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, სამინისტრომ ზედმიწევნით შეისწავალა საქმეში არსებული დოკუმენტაცია, განახორციელა ყველა კანონით დადგენილი ღონისძიება, იხელმძღვანელა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ამის შემდეგ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (№2-785 ბრძანება).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (№2-785 ბრძანება) ბათილობის თაობაზე, შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☐

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☐

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 21 დეკემბრის №5/69254 წერილი - 1 ფურცელი;
დანართი 2: მინდობილობა - 1 ფურცელი;
დანართი 3: №74 ბრძანება - ირაკლი ქარსელაძის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე - 1 ფურცელი;
დანართი 4: დეპარტამენტის დებულება და შესაგებლის ელ. ვერსია - 1 CD დისკი.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 24 (ოცდაოთხი) ფურცელი და 1 CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ლიკა ჩქოფოია ირაკლი კამლაძე	29/12/2020 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

KA021704484374820

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/69254

21 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 15.04.2020წ. № 2-12/4436, 16.10.2020წ. №2-12/11747 და 07.12.2020წ. №2-12/13731 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის სამშენებლო პროექტის ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №61.11.23.299, №61.11.23.298, №61.23.21.788, №61.23.21.800) მერქნული რესურსის (მოჭრა) გარემოდან ამოღება, იმ პირობით, თუ აღნიშნული მერქნული რესურსი არ წარმოადგენს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ მცენარეთა სახეობას, ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება (მოჭრა) განხორციელდება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, ხოლო მოჭრილი მერქნული რესურსი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29[1] მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს № 242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში მოჭრილი ხე-ტყე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარდება სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ამასთან, განხორციელებული ქმედებით სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

დანართი 2

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/14898
28/12/2020

14898-2-07-2-202012281629

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე და 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) იურიდიული სამსახურის უფროსს (პირველადი სტრუქტურილი ერთეულის ხელმძღვანელი) **სალომე წურწუმიას (პ/ნ 19001060442)**, იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილეს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) **ლიკა ჩქოფოიას** (პ/ნ62001003322), ამავე სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) **ხათუნა ხელიძეს** (პ/ნ 01011017138), ამავე სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ირაკლი კამლაძეს** (პ/ნ 01025017218), ამავე სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს **სანდრო ვაშაყმაძეს** (პ/ნ 01008056308) და ამავე სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ერეკლე შონიას** (პ/ნ 01001090796) მიეცეთ უფლება, ინდივიდუალურად ან/და ერთობლივად, წარმოადგინონ და დაიცვან დეპარტამენტის ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში (მათ შორის ყველა რაიონულ/საქალაქო და მაგისტრატ სასამართლოებში, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში) და აღნიშნულთან დაკავშირებით ინდივიდუალურად ან/და ერთობლივად გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, კერძოდ: წარადგინონ სარჩელები, საჩივრები (სააპელაციო და საკასაციო) და შესაგებლები (მათ შორის პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო), ხელი მოაწერონ მათ; წარადგინონ, გამოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ხელზე); ასევე განახორციელონ ნებისმიერი, საჭირო მოქმედება/ღონისძიება (სასარჩელო მოთხოვნის შემცირების, სარჩელის ცნობისა და მორიგების გარდა), რომელიც შეიძლება არ იყოს მითითებული მინდობილობაში, მაგრამ საჭირო გახდეს დეპარტამენტის ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№74 2018 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი

ი. ქარსელაძის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის N594 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 6^1 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ირაკლი ქარსელაძე** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ 2018 წლის 2 აპრილიდან.

გიორგი კვირიკაშვილი

№1